საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1093-02
01/05/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რომანისტიკის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის
,,ა“ ქვეპუნქტის, 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-12 მუხლის 1 პუნქტის ,,უ“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 27 თებერვლის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რომანისტიკის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N394-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის N2 და 2018 წლის 1 მაისის N5 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2018 წლის 1 მაისს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რომანისტიკის მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **რომანისტიკის მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნას **მზაღო დოხტურიშვილი.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.

3.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი